შეთანხმების აქტი №15-07-55/1

ქ. თბილისი

20 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი** (მის: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №48, ს/კ 404384974, სახაზინო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22, GE24NB0330100200165022, ტელ: 0322470014) შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის გიორგი ბაიდარაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „იკორთა 2007"**, (მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. აბაშიძის ქ, №44 ბ.42), ს/კ 205216327, საბანკო რეკვიზიტები: ს/ს საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი BAGAGE22, ა/ა GE35BG0000000207382300, ტელ: 599690637) შემდგომში „მიმწოდებელი", წარმოდგენილი დირექტორის **გივი ხურცილავას მინდობილი პირის ალექსანდრე კალანდაძის** სახით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N131004711, 24.09.2013.), ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვთანხმდებით შემდეგზე:

შპს „იკორთა 2007"-ის 17.08.2015 წლის 07/08 წერილობითი ფორმით თხოვნის საფუძველზე 2015 წლის 10 ივლისს გაფორმებულ №15-07-55 ხელშეკრულების 2.8 და 3.1 პუნქტებში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.8 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, 2015 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 30 სექტემბრამდე.

<u>შემსყიდველი</u>
ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"
თავმჯდომარე
გიორგი ბაიდარაშვილი

<u>მიმწოდებელი</u>
„იკორთა 2007"
დირექტორის მინდობილი პირი
ალექსანდრე კალანდაძე

საქართველო, შპს „იკორთა-2007“
თბილისი 0179, ი. აბაშიძის ქ.№44. ტელ.: 223 26 63, 599 690 637

GEORGIA, LTD "IKORTA-2007"
TBILISI 0179, I. ABASHIDZE st. №4. Tel.: 223 26 63, 599 690 637

17.08.2015
07/08

ა(ა)იპ თბილისის განვითარების
ფონდის თავჯდომარეს
ბატონ გიორგი ბაიდარაშვილს
შ.პ.ს. „იკორთა 2007“-ის
დირექტორის გივი ხურცილავას

წერილი

ბატონო გიორგი

მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისში ანტონ-კათალიკოსის ქუჩა № 36 -ში მდებარე ორსართულიანი შენობის ფასადების რეაბილიტაციის და კონსტრუქციული გამაგრების საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით, ტექნიკური თვალსაზრისით, შეფასებული იქნა შენობის მზიდი და არამზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა. კვლევით დადგინდა, რომ ინტერიერში შენობის მზიდი კედლების თითქმის 95% შეფუთულია თაბაშირმუყაოს ფილებით და ვერ ხერხდება მათი მდგომარეობის შესწავლა. იმ კედლების გარკვეულ უბნებში, რომლებიც შეუფუთავია, შეინიშნება დეფორმაციის კვალი. ბზარებია განვითარებული ფასადის კედლების გარკვეულ უბნებშიც.
შენობის მთავარი ფასადის მხრიდან მარჯვენა ტორსული კედლის გასწვრივ, ახალი მოცულობის შექმნის მიზნით, წლების წინ, ამოღებული და მიტოვებულია ქვაბული. ქვაბულში გროვდება ატმოსფერული ნალექები, რომლებიც ჩაედინება სარეაბილიტაციო ნაგებობის საძირკვლებში. გარდა ამისა გაშიშვლებულია მთავარი ფასადის მზიდი

თბილისის განვითარების ფონდი
992
17 08 15

კედლის საძირკვლები. რაც უკავშირდება მასთან მიმდებარე მიწისქვეშა ავტოფარეხის არსებობას.

ამდენად დეტალური კვლევით დგინდება, რომ პროექტით გათვალისწინებული ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ფასადის კედლების კონსტრუქციული გამაგრებით. მათი სრული აღდგენა და გაძლიერება უკავშირდება:

- როგორც ფასადის კედლების, ასევე დანარჩენი მზიდი კედლების და საძირკვლების გამაგრებით სამუშაოებს.
- მზიდი კონსტრუქციების დეტალურ გამოკვლევას, მათ გაშიშვლებას თაბაშირმუყაოს ფილებისაგან.
- შიდა მზიდი კედლების არქიტექტურული ანაზომების გაკეთებას.
- ამის შემდგომ კვლევის შედეგების ანალიზს და სათანადო ღონისძიებების დასახვასა და რეალიზაციას მუშა პროექტის ფარგლებში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული ვითარება, ნაგებობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, დამატებითი ახალი მოცულობების და სირთულეების გამო პროექტის სრულყოფილად და ხარისხიანად შესრულებისათვის ჩაბარების ვადა გადაგვიტანოთ 2015 წლის ოცდაათ სექტემბრამდე.

პატივისცემით

შ.პ.ს. „იკორთა 2007"
დირექტორი / გ. ხურცილავა /